საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი კოლეჯი „ ერქვანი"

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW COLLEGE „ ERKVANI "
0400 ქ.ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10, Vazha Pshavela street №10, Ambroiauri 0400
☎: (0439) 22 11 91 email: koleji.erqvani@gmail.com მობ: 595 06 86 47

სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 31 ბრძ.

08 აპრილი 2021 წელი

ქ. ამბროლაური

სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს საშტატო ერთეულებზე მომუშავე პირების პედაგოგიური საქმიანობის განაკვეთის დამტკიცების შესახებ

სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს საშტატო ერთეულებზე მომუშავე პირებს, შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში უფლება აქვთ, ანაზღაურების სანაცვლოდ განახორციელონ პედაგოგიური საქმიანობა. კოლეჯის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან საშტატო ერთეულებზე მომუშავე პირების შესასრულებელი სამუშაო მოცულობა მნიშვნელოვანია კოლეჯის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის, პედაგოგიური საქმიანობისთვის გამოყენებული დრო არ უნდა აღემატებოდეს მათი ძირითადი საქმიანობის სამუშაო დროის 25%-ს, ხოლო პედაგოგიური საქმიანობისთვის კვირეული საათობრივი დატვირთვა, კვირაში არაუმეტეს 10 საათს.

სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს დირექტორის 2021 წლის 07 აპრილის N 335040 წერილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის და კოლეჯი „ერქვანი"-ს წესდების მე-5 „ი" პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს საშტატო ერთეულებზე მომუშავე პირების პედაგოგიური საქმიანობის განაკვეთი" და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „პედაგოგიური საქმიანობისთვის გამოყენებული დრო არ უნდა აღემატებოდეს მათი ძირითადი საქმიანობის სამუშაო დროის 25%-ს, ხოლო პედაგოგიური საქმიანობისთვის კვირეული საათობრივი დატვირთვა, კვირაში არაუმეტეს 10 საათს.
2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული, „სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს საშტატო ერთეულებზე მომუშავე პირების პედაგოგიური საქმიანობის განაკვეთი", შეტანილი იქნას 2020 წლის 17 ივნისის N 28 „ო" ბრძანებით დამტკიცებულ, სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-ს შინაგანაწესში.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში დადგენილი წესით, ხელმოწერიდან ორი კვირის ვადაში.

დირექტორი: /ფ. ბუაძე/